With funding from

Austrian Development Cooperation

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის

RURAL DEVELOPMENT THROUGH YOUTH ENTREPRENEURSHIP

პროექტის შესახებ

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE) არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით, საქართველოში მერსი ქორფსის წარმომადგენლობის (Mercy Corps Georgia) მიერ.

პროექტის მხარდამჭერები არიან ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

პროექტის მიზანი

პროექტი ხელს უწყობს 1,500-ზე მეტ 18-35 წლის ახალგაზრდას (50% ქალი), მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელს, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრს, ეკომიგრანტს და იძულებით გადაადგილებულ პირს, განივითარონ სამეწარმეო უნარები და შესაძლებლობები, რათა შექმნან 50-ზე მეტი მდგრადი, ახალი ან/და გააფართოვონ უკვე არსებული, ახალგაზრდების მიერ მართული სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო საწარმო/ბიზნესი.

გეოგრაფიული არეალი

პროექტი ხორციელდება 42 თვის განმავლობაში (2021 წლის დეკემბერი - 2025 წლის მაისი) საქართველოს 4 რეგიონში და მოიცავს 18 მუნიციპალიტეტს.

ქვემო ქართლი
რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, წალკა

სამცხე-ჯავახეთი
ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ახალციხე ახალქალაქი, ნინოწმინდა

შიდა ქართლი
გორი, ქარელი, კასპი

მცხეთა-მთიანეთი
მცხეთა, დუშეთი, თიანეთი

RDYE პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ფოკუსირებულია ახალგაზრდების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობაზე, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობაზე. პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები კი მათ დასაქმებაში/თვითდასაქმებაში ეხმარებათ. პროექტს, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის განვითარებითა და ხელშეწყობით, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ადგილობრივი მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში.

პროექტის შედეგები (მეორე ციკლი)

RDYE პროექტის მეორე ციკლის ფარგლებში, 22-მა გამარჯვებულმა ჯამში

500 000 ლარზე

მეტი დაფინანსება მოიპოვა.

71 ორდღიანი საბაზისო სამეწარმეო ტრენინგი	852	53%	52,5%
ბიზნეს იდეების წარდგენა	388	55%	58,6%
ერთკვირიანი ბიზნეს გადამზადების BET პროგრამა საბაზისო სამეწარმეო ტრენინგის წარმატებული კურსდამთავრებულებისთვის	75	50,7%	49,5%
ბიზნეს გეგმების წარდგენა	69	47%	41,5%
კონსულტაციები წარუმატებელი აპლიკანტებისთვის	19 შეხვედრა 519 მონაწილისთვის		

RDYE პროექტი დამატებით ბენეფიტ პაკეტებს სთავაზობს წარმატებულ კანდიდატებს, როგორიცაა: საგადასახადო ტრენინგები, ინდივიდუალური კონსულტაციები, მენტორინგი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, გენდერი, გარემოს დაცვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურიზმი, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა.

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა მხარს უჭერს აფრიკის, აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მდგრად განვითარებას. ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფედერალური სამინისტრო ადგენს სტრატეგიას. ავსტრიის განვითარების სააგენტო, როგორც ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის საოპერაციო უწყება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად, ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს საჯარო ინსტიტუციებთან თანამშრომლობით.

მერსი ქორფსი არის საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ადამიანებს შექმნან უსაფრთხო, პროდუქტიული და სამართლიანი გარემო, რათა შეამსუბუქოს ტანჯვა, სიღარიბე და ჩაგვრა. მერსი ქორფსი საქართველოში 2 000 წლიდან მოღვაწეობს და ქმნის პროდუქტიულ, სტაბილურ, უსაფრთხო და სამართლიან თემებს სიღარიბითა და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, მერსი ქორფსი მუშაობს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან, ახალგაზრდა მეწარმეებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან, რათა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს ხელი შეუწყოს მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

ლიბერთი ბანკი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია, რომელიც 1,7 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირს და 50 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურება. ბანკის აქტივები 3 მლრდ ლარს შეადგენს და დასაქმებული ჰყავს 4 500-ზე მეტი თანამშრომელი. ლიბერთი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ყველაზე ფართო ქსელით - 360-ზე მეტი მომსახურების ცენტრით, 632 ბანკომატით, თვითმომსახურების და POS ტერმინალებით საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში. განვითარებული ინფრასტრუქტურის გარდა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის, ხელმისაწვდომია თანამედროვე ციფრული სერვისები და დისტანციური მომსახურება. ბანკის სტრატეგიულ მიმართულებას წამოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და რეგიონულ დონეზე, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება.

სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი შეიქმნა 2021 წლის 21 ივნისს. ფონდის მიზანია, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის განვითარების მეშვეობით, პოზიტიური სოციალური ცვლილებებისთვის ხელშეწყობა. ეროვნულ დონეზე, ფონდი წარმოადგენს სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის უნივერსალურ წამახალისებელ პლატფორმას კერძო და საჯარო სექტორისთვის. ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მეწარმეობის წახალისება ფონდის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საკონტაქტო ინფორმაცია

rdye@mercycorps.org
www.mercycorps.ge
+995 595 951 236
თბილისი 0194, ა. ცაგარელის 48

Facebook

Instagram

Linkedin

* წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაცია შემუშავებულია Mercy Corps Georgia-ს შეხედულებების გათვალისწინებით და არ გამოხატავს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მოსაზრებას.